

# მოახდინეთ თქვენი პროდუქტების ექსპორტირება ევროკავშირში ექსპორტის ხელშემწყობი სამსახურის დახმარებით

<http://exporthelp.europa.eu/>



გნებავთ თქვენი პროდუქტების ევროკავშირში ექსპორტირება? პირველ რიგში ეწვიეთ ექსპორტის ხელშემწყობი სამსახურის მონაცემთა ბაზას.

ეს უფასო ონლაინრესურსია და მისი მომსახურებით სარგებლობა მსოფლიოს ყველა კუთხიდანაა შესაძლებელი. ამისთვის მხოლოდ ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი დაგჭირდებათ. ეს საინფორმაციო ფურცელი გათვალისწინებულია იმის მაგალითს, თუ როგორ გამოიყენოთ ეს რესურსი უფრო ეფექტურად.

მნიშვნელოვანი შენიშვნა: ექსპორტის ხელშემწყობი სამსახურის მომსახურება შეეხება მხოლოდ პროდუქტებს და არა მომსახურებას.

ექსპორტის ხელშემწყობი სამსახურის შესახებ	ექსპორტის ხელშემწყობი სამსახურის და მისი მომსახურების გასაცნობად პირველ რიგში ეს ქვეთავი წაიკითხეთ. უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად, მიების დაწყებამდე წაიკითხეთ ყოველი მომდევნო თავის, „შესავალი“, ეს თავებია: „მოთხოვნები და გადასახადები“, „საიმპორტო ტარიფები“, „შეღავათიანი მექანიზმები“ და „ვაჭრობის სტატისტიკა.“	
<b>1. მოძებნეთ საბაჟო კოდი, რომელიც თქვენს პროდუქტს შეესაბამება</b>		
	<p>თქვენი პროდუქტის კოდის შესარჩევად დააჭირეთ ღილაკს "Browse" ან "Search" შემდეგ თავებში :</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მოთხოვნები და გადასახადები</li> <li>• საიმპორტო ტარიფები</li> <li>• სავაჭრო სტატისტიკა</li> </ul>	<p><i>წარმოვიდგინოთ, რომ ქართველ ექსპორტიორს სურს თავლის საფრანგეთში ექსპორტირება. კომბინირებული ნომენკლატურის საფუძველზე თავლის მინიჭებული აქვს კოდი 0409</i></p>
<b>2. იპოვეთ თქვენი პროდუქტისთვის დადგენილი ზოგადი და კონკრეტული საიმპორტო მოთხოვნები</b>		
მოთხოვნები და გადასახადები	<p>პირველ რიგში წაიკითხეთ საიმპორტო პროცედურების „მიმოხილვა.“</p> <p>შეგიძლიათ იხილოთ ინფორმაცია კონკრეტული პროდუქტის შესახებ :</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ზოგადი მოთხოვნები ყველა პროდუქტისთვის (პროდუქტის განზაფხებისთვის აუცილებელი დოკუმენტაცია)</li> <li>• თქვენი პროდუქტისთვის დადგენილი მოთხოვნები (ჯანმრთელობის კონტროლი, მარკეტინგი, ეტიკეტირება, ტექნიკური სტანდარტები და ა.შ.)</li> <li>• დღგ და სხვა სააქციზო მოსაკრებლები, რომლებიც ევროკავშირშია დადგენილი</li> </ul>	<p><i>რა წესებია დადგენილი ვეტერინარული კონტროლისთვის, ვეტერინარული მედიკამენტების ნარჩენების კონტროლის, ეტიკეტირების ან ორგანული და სხვა პროდუქტებისთვის?</i></p> <p><i>დღგ-ს რა განაკვეთები გამოიყენება, მაგალითად, საქართველოდან საფრანგეთში თავლის შეტანისას?</i></p>
<b>3. განსაზღვრეთ საიმპორტო ტარიფი, რომელიც თქვენი პროდუქტისთვისაა დადგენილი</b>		
საიმპორტო ტარიფები	შეავსეთ სპეციალური ფორმა	<p><i>საქართველო სარგებლობს მდგრადი განვითარების და კარგი მმართველობის მექანიზმით, რომელიც შეღავათების ზოგადი სისტემითაა (ინგლისური აბრევიატურაა GSP+) დადგენილი. ამ სისტემის თანახმად საიმპორტო ტარიფი თავლისთვის 0%-ია.</i></p>
<b>4. მოიძიეთ პროდუქტის წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და პატივი ეცით წარმომავლობის წესს</b>		
შეღავათიანი მექანიზმები	<p>იპოვეთ შესაბამისი ქვეთავი და შეარჩიეთ ის რეჟიმი, რომელიც თქვენს ქვეყანას მიესადაგება. იპოვეთ თავი „საჭირო დოკუმენტები“ და შეარჩიეთ შესაბამისი რეჟიმი. ამ თავში იხილავთ ინფორმაციას წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ, რომელიც აუცილებელია სატარიფო შეღავათებით სარგებლობისთვის. დაბოლოს, იპოვეთ სპეციალური ფორმა წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტების შესახებ და შეარჩიეთ შესაბამისი რეჟიმი.</p>	<p><i>თავში „საჭირო დოკუმენტები“, რომელსაც ნახავთ ინფორმაციაში GSP –ის შესახებ, შეგიძლიათ იხილოთ წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტების ნუსხა. ექსპორტიორი შეიტყობს, რომ შემცირებული ტარიფების სარგებლობისთვის აუცილებელია „ფორმა A .“ ექსპორტიორი იმ პირობებსაც გაეცნობა, რომელიც თავლისთვის კლასიფიკაციის „წარმოებული საქართველოში“ მინიჭებისთვისაა აუცილებელი.</i></p>
<b>5. ჩატარეთ ბაზრის კვლევა თქვენ თვითონ</b>		
ვაჭრობის სტატისტიკა	<p>სპეციალური ფორმის შევსებით შეგიძლიათ თქვენი პროდუქტის სავაჭრო ნაკადის განსაზღვრა. შეგიძლიათ შეარჩიოთ რამდენიმე წლის მონაცემები და რამდენიმე ინდიკატორი (იმპორტის ღირებულება და/ან იმპორტის ოდენობა)</p>	<p><i>რა რაოდენობის თავლის ექსპორტირება მოხდა საქართველოდან ევროკავშირში შარშან?</i></p>
<b>6. მოიძიეთ საჭირო კონტაქტები</b>		
ბმულები	<p>ბმულების პუნქტში შეგიძლიათ იხილოთ ევროკავშირის საბაჟო უწყებების ნუსხა, ევროკავშირის სავაჭრო პალატა, სავაჭრო და პროფესიული გაერთიანებები, ასევე, ბიზნესის ბიზნესთან თანამშრომლობის პლატფორმების და ბიზნესის ცნობარების ბმულები.</p>	